



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მუჟავას თემის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირინა დვალი

წევრები:

თამარ წიწიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ნინო ფსუტური - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ლელა კაკაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

მარინა თავართქილაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ნაია ენდელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

დავით ხუციშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

ლელა გაბისონია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

თამარი მურუსიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

მურად ფახურიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მუჟავას თემის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242735830

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, მუჟავას თემი
ფაქტობრივი მისამართი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, მუჟავას თემი
საფოსტო ინდექსი	5200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	mujava@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599857187

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 5 ივლისის MES4240000820625 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	5-6 აგვისტო, 2024 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.



№	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ე	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა- ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, მუჟავას თემი
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, მუჟავას თემი
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, მუჟავას თემი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა



VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 150	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი №		
სტანდარტი №3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი №		
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი №		

სტანდარტი №2	სასკოლო კურიკულუმი (საფეხური)	ხარვეზი
ინდიკატორი №		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი №1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ	სკოლამ 2024 წლის 20 დეკემბრამდე უნდა შეიმუშაოს 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა სტრატეგიული გეგმის

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	საფუძველზე.
ინდიკატორი №1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სკოლამ 2024 წლის 20 დეკემბრამდე 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში უნდა განსაზღვროს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი №3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით	სკოლამ 2024 წლის 5 დეკემბრამდე ინდენტიფიცირებულ თანამშრომლებს უნდა მოსთხოვოს „უფლების ჩამორთმევისა“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“ ცნობების წარმოდგენა
ინდიკატორი №3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო	სკოლა ვალდებულია 2025 წლის 20 სექტემბრამდე უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; სკოლამ 2026 წლის 15 მაისამდე უნდა მიმართოს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობა-ნაგებობის შესაბამისობის შესახებ დასკვნის მისაღებად.



	სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	სკოლამ 2026 წლის 15 მაისამდე უნდა მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მისაღებად.
ინდიკატორი №3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენა	სკოლამ 2024 წლის 20 დეკემბრამდე სამედიცინო კაბინეტში გასასინჯი სივრცე/ტახტი უნდა გამოყოს დანარჩენი სივრცისგან ხელოვნური ბარიერით/ტიხრით/შირმით
ინდიკატორი №3.5.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	სკოლამ 2025 წლის 20 თებერვლამდე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი უნდა დაამუშავოს საბიბლიოთეკო პრინციპით
ინდიკატორი №3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლამ 2026 წლის 20 სექტემბრამდე უნდა შექმნას ინკლუზიური ინფრასტრუქტურა, კერძოდ, მეორე სართულზე ასასვლელად დაამონტაჟოს პანდუსები



ინდიკატორი №3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლამ 2024 წლის 25 დეკემბრამდე Skolebi.emis.ge-ის შესაბამისი გვერდი უნდა გააქტიუროს და განათავსოს ინფორმაცია
ინდიკატორი №3.6.3.5	ვებგვერდი/ვებგვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლამ 2024 წლის 25 დეკემბრამდე ვებგვერდზე უნდა განათავსოს სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაცია, კერძოდ: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.



ინდიკატორი №3.7.1.1.	სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება	სკოლის სამეურვეო საბჭომ 2024 წლის 20 დეკემბრამდე უნდა დაამტკიცოს ბიუჯეტი და მის საფუძველზე, სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი №		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი №2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა 2025 წლის 15 სექტემბრამდე, უნდა შეიმუშაონ ეროვნული სასწავლო გეგმისა და დაწყებითი საფეხურის სტანდარტის მიხედვით განმსაზღვრელი (მე-5-მე-6 კლასებში) და აგრეთვე I-IV და V კლასებში განმავითარებელი შეფასების სისტემა (მექანიზმები, რუბრიკები), რომელიც კონკრეტულად გადმოსცემს: რას ვაფასებთ, რათა შეფასება იყოს გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. მაგალითად, თუ ფასდება საშინაო, საკლასო სამუშაო, წერიტი ნამუშევარი იქნება ეს თუ გაწაფული კითხვა ან ტექსტის გაგება-გააზრება, შეფასების რუბრიკები უნდა გამომდინარეობდეს დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებზე დაყრდნობით.
ინდიკატორი №2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო	სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა 2024 წლის 15 დეკემბრამდე დაწყებით საფეხურზე შეფასების მექანიზმი უნდა შეუსაბამონ ეროვნული სასწავლო გეგმითა და დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს



	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	
ინდიკატორი №2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	ესთეტიკური აღზრდის საგნებში სკოლამ 2025 წლის 19 სექტემბრამდე უნდა აიყვანოს საგნობრივი კურიკულუმის შედგენა/განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ საგნობრივი კომპეტენცია
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი №2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	ესთეტიკური აღზრდის საგნებში სკოლამ 2025 წლის 19 სექტემბრამდე უნდა აიყვანოს საგნობრივი კურიკულუმის შედგენა/განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ საგნობრივი კომპეტენცია.
ინდიკატორი №2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა 2024 წლის 15 დეკემბრამდე საბაზო საფეხურზე შეფასების მექანიზმი უნდა შეუსაბამონ ეროვნული სასწავლო გეგმითა და საბაზო საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს
ინდიკატორი №2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის სანდო, ობიექტური, სამართლიანი, გამჭვირვალე	სკოლამ უზრუნველყოს, რომ 2025 წლის 15 სექტემბრამდე, სახელმწიფო ენაში შეფასება ეყრდნობოდეს ქართული ენისა და ლიტერატურის ეროვნული სასწავლო გეგმასა და საბაზო საფეხურის სტანდარტს როგორც განმსაზღვრელი (მე-7,-მე-8, მე-9 კლასებში), აგრეთვე განმავითარებელი შეფასების სისტემა (მექანიზმები, რუბრიკები), რათა კონკრეტულად გამოჩნდეს: რა ფასდება, რადგან შეფასება იყოს გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. შეფასების რუბრიკები უნდა გამომდინარეობდეს საბაზო საფეხურის



		ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებზე დაყრდნობით.
ინდიკატორი №2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლამ, 2025 წლის 8 ნოემბრამდე, ფართი, სადაც ატარებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ელემენტარულ ცდებს, სათანადოდ აღჭურვოს: დაამონტაჟოს გამწოვი კარადა, სველი წერტილი უშუალოდ იმ სივრცეში, სადემონსტრაციო მაგიდა, რომელსაც ექნება ცეცხლგამძლე ზედაპირი. შესაბამისად კურიკულუმში მეტი ყურადღება გაამახვილოს სამიზნე ცნება-კვლევაზე, რომელიც სხვა სამიზნე ცნებებთან იქნება დაინტეგრირებული.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი №2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლამ, 2025 წლის 8 ნოემბრამდე, ფართი, სადაც ატარებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ელემენტარულ ცდებს, სათანადოდ აღჭურვოს: დაამონტაჟოს გამწოვი კარადა, სველი წერტილი უშუალოდ იმ სივრცეში, სადემონსტრაციო მაგიდა, რომელსაც ექნება ცეცხლგამძლე ზედაპირი. შესაბამისად კურიკულუმში მეტი ყურადღება გაამახვილოს სამიზნე ცნება-კვლევაზე, რომელიც სხვა სამიზნე ცნებებთან იქნება დაინტეგრირებული.
ინდიკატორი №2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	ესთეტიკური აღზრდის საგნებში სკოლამ 2025 წლის 19 სექტემბრამდე უნდა აიყვანოს საგნობრივი კურიკულუმის შედგენა/განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ საგნობრივი კომპეტენცია
ინდიკატორი №2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი	სკოლამ უნდა უზრუნველყოს, რომ 2025 წლის 15 სექტემბრამდე, სახელმწიფო ენის კურიკულუმში შეფასება ეყრდნობოდეს ქართული ენისა და ლიტერატურის ეროვნული სასწავლო გეგმასა

		და საშუალო საფეხურის სტანდარტს როგორც განმსაზღვრელი (მე-10,-მე-11, მე-12 კლასებში), აგრეთვე განმავითარებელი შეფასების სისტემა (მექანიზმები, რუბრიკები), რათა კონკრეტულად გამოჩნდეს: რა ფასდება: წერითი ნამუშევარი, ზეპირი პრეზენტაცია, ანალიზი, გაგება-გააზრება, რადგან შეფასება იყოს გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. შეფასების რუბრიკები უნდა გამომდინარეობდეს საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებზე დაყრდნობით.
ინდიკატორი №2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა 2024 წლის 15 დეკემბრამდე საშუალო საფეხურზე შეფასების მექანიზმი უნდა შეუსაბამონ ეროვნული სასწავლო გეგმითა და საშუალო საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლამ შეიმუშაოს ცალკე დოკუმენტი დებულების სახით, რომელშიც ერთიანი სახით გაწერს დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობებს.
ინდიკატორი №3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება	სკოლამ მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშაოს დამატებითი მექანიზმები.



	ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;	
ინდიკატორი №3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლამ განაახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სადაც მიეთითება, თუ რამდენი წლით გადაეცა შენობა სახელმწიფოსგან სკოლას.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი №4.2.2.1.	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;	სკოლამ შეიმუშაოს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის წესი, რომელშიც გაწერს სხვადასხვა აქტივობას

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	რჩევა
ინდიკატორი №2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სასურველია, ინფორმაციული ტექნოლოგიების კურიკულუმში სკოლამ ჩაამატოს კონკრეტული საკითხების დავალებები და მაგალითები შედარებისთვის



ინდიკატორები №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოდგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	VI კლასის კურიკულუმში სასურველია დაემატოს შემდეგი კომპონენტები: სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, შემოქმედებითი დავალების იდეები და რესურსები; I; V კლასის კურიკულუმებში სასურველია დაემატოს დანართებად წარმოდგენილი შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებები: „მოვაწყით გამოფენა“; „პატარა მეყვავილე“; „შოკოლადის ფილის განაწილება“ • მესამე კლასის კურიკულუმში ზოგიერთ თემასთან სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები, თემების მიხედვით სასურველია ისე შეავსოთ და შეასწოროთ, რომ მოვიდეს შესაბამისობაში ერთმანეთთან. VI კლასის კურიკულუმში სასურველია განსასაზღვროს თემების მიხედვით სამიზნე ცნებები და ქვეცნებები • მეოთხე კლასის კურიკულუმში შემოქმედებითი პროდუქტის /კომპლექსური დავალების იდეა სასურველია შეასწოროთ. იდეაში გარდა თემის საკითხების ჩამონათვალისა, უნდა ჩანდეს თემის პრაქტიკული გამოყენება, კავშირი რეალურ ცხოვრებასთან, არჩევანის თავისუფლება, ტექნოლოგიების გამოყენება, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და სხვა.
ინდიკატორი №2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სასურველია, მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები, აისახოს კურიკულუმში. (როგორიცაა პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.შ)



ინდიკატორი №2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	მათემატიკის I, III კლასების კურიკულუმებში, სწავლის შედეგების მისაღწევად სასწავლო რესურსად სახელმძღვანელოსთან ერთად გამოიყენეთ სხვა დამხმარე რესურსები (როგორცაა ელექტრონული ინტერაქტიული ინსტრუმენტები, პროგრამები, სიმულაციები, ვიდეო გაკვეთილები, ონლაინ ინტერაქტიული გაკვეთილები და სხვ
ინდიკატორი №2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	მათემატიკაში სასურველია შეიქმნას თემების მიხედვით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რუბრიკაში მითითებული კრიტერიუმები პირდაპირ კავშირში უნდა იყოს სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან. სასურველია შეიქმნას თემების მიხედვით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან და ინდიკატორებთან მიმართებაში ნათელი, გასაგები, მოსწავლისათვის, მშობლებისათვის, მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომი. სასურველია შეიქმნას თემების მიხედვით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან და ინდიკატორებთან მიმართებაში, ისე რომ რუბრიკაში მითითებული კრიტერიუმები იყოს ზუსტი და ობიექტური, რომ შეფასება არ იყოს დამოკიდებული სუბიექტურ ფაქტორებზე. სასურველია შეიქმნას თემების მიხედვით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან და ინდიკატორებთან მიმართებაში, ისე რომ კრიტერიუმები ზუსტი, ნათელი, გასაგები იყოს, რათა შეფასება არ იყოს დამოკიდებული სუბიექტურ ფაქტორებზე. სასურველია შეიქმნას თემების მიხედვით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან და ინდიკატორებთან მიმართებაში გამჭვირვალე, ობიექტური და



		მოსწავლისათვის გასაგები.
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმების (მე და საზოგადოება III-IV კლასი; ჩვენი საქართველო - V-VI კლასი) შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს წინა წლის საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის შედეგები, რომლის დროსაც პედაგოგები შეძლებენ კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების მონიტორინგს, გამოკვეთენ კურიკულუმით დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შესაბამისობას თემატურ მატრიცებთან (მეთოდურ ორიენტირებთან).
ინდიკატორი №2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს პროექტებით სწავლება, რომელიც პედაგოგებს ხელს შეუწყობს დაწყებით საფეხურზე სწავლის შედეგებისა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიმართულებით
ინდიკატორი №2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს დიფერენცირებული მიდგომები, რომელიც აისახება შემოქმედებით პროდუქტში, ხოლო სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილი დავალებების მოდიფიცირებული მიდგომა აისახოს საგნობრივ კურიკულუმებში.
ინდიკატორი №2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სასურველია სასწავლო წლის ბოლოს საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა განახორციელონ საგნობრივი კურიკულუმების დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსია, შედეგები კი გააზიარონ როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, ასევე დაწყებითი კათედრის წევრების წინაშე.



ინდიკატორი №2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო,	- სასურველია როგორც საზოგადოებრივი, ასევე დაწყებითი კათედრის სხდომებზე პედაგოგებმა განიხილონ განმავითარებელი, ხოლო V-VI კლასებისათვის განმსაზღვრელი შეფასების ეფექტიანობა, რასაც შედეგად მოჰყვება მათი დახვეწა. - სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა დანერგონ მოსწავლეთა ნამუშევრებით შექმნილი პორტფოლიოების შეფასების პრაქტიკა, რაც მათ დაეხმარება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზის განხორციელებაში
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების კლასების საგნობრივი კურიკულუმები პირველ უცხო ენაში სასურველია შეიქმნას მოთხოვნილი ცხრილის გათვალისწინებით სხვა კლასების (მე-2 და მე-5 კლასი) კურიკულუმების მსგავსად, სადაც გაწერილი იქნება სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, კონტექსტ-მაგალითები, რესურსები და ა. შ.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია მათემატიკის კურიკულუმში დანართად წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალება „მიუწვდომელ ადგილამდე მანძილის გაზომვა“ IX კლასის აისახოს კურიკულუმში
ინდიკატორი №2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკის კურიკულუმში შემოქმედებითი დავალების იდეები, რომელიც მოიაზრება შუალედურ მიზნად, სასურველია VIII კლასის კურიკულუმებში, თემების მიხედვით მეტად აისახოს. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები,



		სასურველია აისახოს კურიკულუმში. (როგორცაა პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.შ) • თემის ფარგლებში შემაჯამებელი სამუშაოები სასურველია მოიცავდეს პრობლემურ ამოცანებს (გრძელვადიანმიმართებით), მოსწავლეებში ცნებებს შორის კავშირების, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარების, შეფასებისა და დიაგნოსტიკისათვის
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს ყველა საგნისათვის კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოს სტრუქტურა (იგულისხმება IX კლასის კურიკულუმი ისტორიაში, სამიზნე ცნებისა და ქვეცნებების შესაბამის სვეტში განთავსება); ასევე გათვალისწინებული იყოს წინა წლის საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის შედეგები, რომლის დროსაც პედაგოგები შეძლებენ კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების მონიტორინგს;
ინდიკატორი №2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს პროექტებით სწავლება, რომელიც პედაგოგებს ხელს შეუწყობს საბაზო საფეხურზე სწავლის შედეგებისა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიმართულებით
ინდიკატორი №2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმების შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს დიფერენცირებული მიდგომები, რომელიც აისახება შემოქმედებით პროდუქტში, ხოლო სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილი დავალებების მოდიფიცირებული მიდგომა აისახოს საგნობრივ კურიკულუმებში.



ინდიკატორი №2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სასურველია სასწავლო წლის ბოლოს საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა განახორციელონ საგნობრივი კურიკულუმების დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსია, შედეგები კი გააზიარონ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე;
ინდიკატორი №2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა დანერგონ მოსწავლეთა ნამუშევრებით შექმნილი პორტფოლიოების შეფასების პრაქტიკა, რაც მათ დაეხმარება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზის განხორციელებაში
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	უცხოური ენების მე-7 და მე-9 კლასების საგნობრივი კურიკულუმები მეორე უცხო ენაში სასურველია შეიქმნას მოთხოვნილი ცხრილის გათვალისწინებით სხვა კლასების (მე-8 კლასის მეორე უცხო ენაში ან/და მე-7, მე-8, მე-9 კლასების პირველ უცხო ენაში) კურიკულუმების მსგავსად, სადაც გაწერილი იქნება სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, კონტექსტ-მაგალითები, რესურსები და ა. შ.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	რჩევა
ინდიკატორები №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკის კურიკულუმში ყველა თემასთან განისაზღვროს სამიზნე ცნებები და შესაბამისი ქვეცნებებით (ზოგიერთ თემასთან არაა შევსებული, მაგალითად მე-11 კლასის კურიკულუმში თემა: „განტოლება უტოლობა“) შემოქმედებით დავალების იდეები, რომელიც მოიაზრება შუალედურ მიზნად, სასურველია X; XI და XII კლასების კურიკულუმებში, თემების მიხედვით მეტად აისახოს. (XII კლასი შესავსებია)



ინდიკატორი №2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკის კურიკულუმში აქტივობები რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, სასურველია აისახოს კურიკულუმებში, როგორცაა პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.შ თემის ფარგლებში შემაჯამებელი სამუშაოები სასურველია მოიცავდეს პრობლემურ ამოცანებს (გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით), მოსწავლეებში ცნებებს შორის კავშირების, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარების, შეფასებისა და დიაგნოსტიკისათვის
ინდიკატორი №2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	X და XII კლასის მათემატიკის კურიკულუმში, სწავლის შედეგების მისაღწევად სასწავლო რესურსად სახელმძღვანელოსთან ერთად გამოიყენეთ სხვა დამხმარე რესურსები (როგორცაა ელექტრონული ინტერაქტიული ინსტრუმენტები, პროგრამები, სიმულაციები, ვიდეო გაკვეთილები, ონლაინ ინტერაქტიული გაკვეთილები და სხვა)
ინდიკატორი №2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	მათემატიკის კურიკულუმს დანართის სახით დაურთოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში, სამიზნე ცნებების მიღწევის (შედეგების ინდიკატორების) მიხედვით
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს წინა წლის საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის შედეგები, რომლის დროსაც პედაგოგები შეძლებენ კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების მონიტორინგს;

ინდიკატორი №2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული დიფერენცირებული მიდგომები, აისახოს შემოქმედებით პროდუქტში, ხოლო სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილი დავალებების მოდიფიცირებული მიდგომა აისახოს საგნობრივ კურიკულუმებში
ინდიკატორი №2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სასურველია სასწავლო წლის ბოლოს საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა განხორციელონ საგნობრივი კურიკულუმების დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსია, შედეგები კი გააზიარონ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე
ინდიკატორი №2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა დანერგონ მოსწავლეთა ნამუშევრებით შექმნილი პორტფოლიოების შეფასების პრაქტიკა, რაც მათ დაეხმარება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზის განხორციელებაში
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საშუალო საფეხურის უცხოური ენების მე-11 კლასის საგნობრივი კურიკულუმი პირველ და მეორე უცხო ენებში სასურველია შეიქმნას მოთხოვნილი ცხრილის გათვალისწინებით სხვა კლასების (მაგ.: მე-10 და/ან მე-12 კლასების ორივე უცხო ენაში) კურიკულუმების მსგავსად, სადაც გაწერილი იქნება სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, კონტექსტ-მაგალითები, რესურსები და ა. შ.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მუჟავას თემის საჯარო სკოლამ გაიზიარა და გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში გამოთქმული შენიშვნა და რჩევები.

1. ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა ხარვეზი, კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა არ იყო შემუშავებული სტრატეგიული გეგმის საფუძველზე; არგუმენტირებულ პოზიციაში, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლას სტრატეგიული გეგმის საფუძველზე 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება განსაზღვრული აქვს 2024 წლის 20 დეკემბრამდე. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა **ინდიკატორი №1.2.1.3 ჩათვალა მეტწილად და გასცა რეკომენდაცია, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში შეიმუშაოს 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა სტრატეგიული გეგმის საფუძველზე.**

2. ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა ხარვეზი: წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული იყო სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, თუმცა, არ იყო შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. არგუმენტირებულ პოზიციაში, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა გეგმავს 2024 წლის 20 დეკემბრამდე 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. ამდენად, **ინდიკატორი №1.2.1.4 ჩათვალა მეტწილად დაკმაყოფილებულად და გაიცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლამ 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები.**

3. ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და დადგინდა, რომ თანამშრომლებს წარმოდგენილი არ ჰქონდათ ცნობები „უფლების ჩამორთმევისა“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში აღნიშნული ხარვეზის შესრულება დასაბა 2024 წლის 5 დეკემბრამდე. ამდენად, **ინდიკატორი №3.1.2.3. მეტწილად არის დაკმაყოფილებული და გაიცა რეკომენდაცია, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში ინდენტიფირებულ თანამშრომლებს მოსთხოვოს „უფლების ჩამორთმევისა“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“ ცნობების წარმოდგენა.**

4. ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ განსაზღვრა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებს 2025 წლის 20 სექტემბრამდე. ვიზიტის დროს სკოლას ასევე არ ჰქონდა დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის შესახებ. სკოლას ასევე არ ჰქონდა დასკვნა შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლიც მიხედვითაც ის გეგმავს, რომ 2026 წლის 15 მაისამდე მიმართავს შენობა-

ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს და ასევე მოიპოვებს უფლებამოსილი ორგანოსგან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას. ამდენად, ინდიკატორი №3.4.1.1 ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული და გასცა რეკომენდაცია, რომ სკოლამ უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე მიმართოს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობა-ნაგებობის შესაბამისობის შესახებ დასკვნის მისაღებად და უფლებამოსილ ორგანოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მისაღებად.

5. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. ვიზიტის დროს გასასინჯი სივრცე/ტახტი დანარჩენი სივრცისგან გამოყოფილი არ იყო ხელოვნური ბარიერით/ტიხრით. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნა, რომ 2024 წლის 20 დეკემბრამდე სამედიცინო კაბინეტში გასასინჯ სივრცეს გამოიწნავს შირმის საშუალებით. ამდენად, ინდიკატორი №3.4.1.2 მეტწილად არის დაკმაყოფილებული და გაიცა რეკომენდაცია, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სამედიცინო კაბინეტში გასასინჯი სივრცე/ტახტი გამოყოს დანარჩენი სივრცისგან ხელოვნური ბარიერით/ტიხრით/შირმით.

6. ვიზიტის დროს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი არ იყო დამუშავებული საბიბლიოთეკო პრინციპით. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წიგნადი ფონდის საბიბლიოთეკო პრინციპით დამუშავება განსაზღვრა 2025 წლის 20 თებერვლამდე. ინდიკატორი №3.5.1.3. მეტწილად არის დაკმაყოფილებული და გაიცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლამ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი დაამუშაოს საბიბლიოთეკო პრინციპით.

7. ვიზიტის დროს სკოლის გარემო არ იყო ინკლუზიური. არ ჰქონდა პანდუსი შენობის მეორე სართულზე შესასვლელად, ეტლით მოსარგებლე პირი ვერ შეძლებს სკოლის კომპიუტერულ ოთახსა და რესურსოთახში მოხვედრას. სკოლა შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 2026 წლის 20 სექტემბრამდე გეგმავს მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსის მოწყობას. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორი №3.5.1.4. ნაწილობრივ დაკმაყოფილებული და გასცა რეკომენდაცია, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში შექმნას ინკლუზიური ინფრასტრუქტურა, კერძოდ, მეორე სართულზე ასასვლელად დაამონტაჟოს პანდუსები.

8. ვიზიტის დროს სკოლის Skolebi.emis.ge-ის შესაბამის გვერდზე ინფორმაცია განთავსებული არ იყო. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა 2024 წლის 25 დეკემბრამდე გეგმავს ვებგვერდის გააქტიურებას. ამდენად, ინდიკატორი №3.6.3.4 მეტწილად დაკმაყოფილებულია და გაიცა რეკომენდაცია, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში ვებგვერდზე განათავსოს სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაცია, კერძოდ: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა

მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

10. სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა ჯერ ბიუჯეტი დამტკიცებული. ასევე ჯერ არ ჰქონდა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. ამდენად, ინდიკატორი შეფასდა, როგორც არ შეესაბამება. შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლა გეგმავს 2024 წლის 20 დეკემბრამდე ბიუჯეტის დამტკიცებას და სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ამდენად, ინდიკატორი №3.7.1.1 მეტწილად არის დაკმაყოფილებული და გაიცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლის სამეურვეო საბჭომ დაამტკიცოს ბიუჯეტი და მის საფუძველზე, სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

11. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლა აღნიშნავს, რომ 1 წლის განმავლობაში შეიძენს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობილობებს საკუთარი ხარჯებით/სკოლის ბიუჯეტითა და განათლების და მეცნიერების სამინისტროს ჩართულობით. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი №2.2.2.3 საბაზო და საშუალო საფეხურებზე ჩათვალა მეტწილ შესაბამისად და გასცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, სკოლამ, ფართი, სადაც ატარებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ელემენტარულ ცდებს, სათანადოდ აღჭურვოს: დაამონტაჟოს გამწოვი კარადა, სველი წერტილი უშუალოდ იმ სივრცეში, სადემონსტრაციო მაგიდა, რომელსაც ექნება ცეცხლგამძლე ზედაპირი. შესაბამისად კურიკულუმში მეტი ყურადღება გაამახვილოს სამიზნე ცნება-კვლევაზე, რომელიც სხვა სამიზნე ცნებებთან იქნება დაინტეგრირებული.

12. ვიზიტის დროს ესთეტიკური აღზრდის საგნებში სკოლას არც ერთ საფეხურზე (დაწყებითი/საბაზო/საშუალო) არ ჰყავდა საგნობრივი კურიკულუმის შედგენა/განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებს არ ჰქონდათ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია. ამ საგნებს ასწავლიდნენ სხვა საგნის მასწავლებლები. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლა აღნიშნავს, რომ 2025 წლის 19 სექტემბრამდე მოიძიებს შესაბამის კადრს. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა სამივე საფეხურზე ინდიკატორი №2.2.2.4 ჩათვალა მეტწილ შესაბამისად და გასცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში ესთეტიკური აღზრდის საგნებში სკოლამ აიყვანოს საგნობრივი კურიკულუმის შედგენა/განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ საგნობრივი კომპეტენცია

13. ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილ სახელმწიფო ენის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ინდიკატორი №2.1.2.5-ში დადგინდა ხარვეზები, კერძოდ. შეფასების მექანიზმი არ იყო ვალიდური, იგი არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შესაბამისობის გეგმაში სკოლა აღნიშნავს, რომ 2024 წლის 15 დეკემბრამდე შეიმუშავებს შეფასების მექანიზმს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად. ამდენად, ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა სამივე საფეხურზე ინდიკატორი №2.1.2.5 ჩათვალა მეტწილ შესაბამისად და გასცა

რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა სამივე საფეხურზე შეფასების მექანიზმი შეუსაბამონ ეროვნული სასწავლო გეგმითა და შესაბამისი საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

14. ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილ სახელმწიფო ენის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ინდიკატორ №2.2.1.3-ში დადგინდა ხარვეზები, კერძოდ: **სახელმწიფო ენის კურიკულუმებში შეფასების სისტემა:** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არ იყო შემუშავებული ეროვნული სასწავლო გეგმისა და შესაბამისი საფეხურის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით, რუბრიკებში კონკრეტულად არ ჩანდა: რას ვაფასებთ, რათა შეფასება იყოს გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. მაგალითად, თუ ვასდება საშინაო, საკლასო სამუშაო, წერიტი ნამუშევარი, შეფასების რუბრიკები უნდა გამომდინარეობდეს შესაბამისი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებზე დაყრდნობით. შესაბამისობის გეგმაში სკოლა აღნიშნავს, რომ 2024 წლის 15 დეკემბრამდე სახელმწიფო ენის კურიკულუმებს გადახედავს და დახვეწს. ამდენად, **ინდიკატორი №2.2.1.3 ჩაითვალოს მეტწილ შესაბამისად და საგნობრივმა ექსპერტმა გასცა რეკომენდაციები: სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უნდა შეიმუშაონ ეროვნული სასწავლო გეგმისა და შესაბამისი საფეხურის სტანდარტის მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სისტემა (მექანიზმები, რუბრიკები), რომელიც კონკრეტულად გადმოსცემს: რას ვაფასებთ, რათა შეფასება იყოს გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. მაგალითად, თუ ვასდება საშინაო, საკლასო სამუშაო, წერიტი ნამუშევარი, შეფასების რუბრიკები უნდა გამომდინარეობდეს შესაბამისი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებზე დაყრდნობით.**



ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისიაა აღზარდოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მქონე, ოჯახის, ქართული ტრადიციის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების, სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიის და კულტურის მცოდნე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და პატრიოტი მოქალაქე, რომელიც იქნება ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების პატივისმცემელი, დემოკრატიის პრინციპების მატარებელი, მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე, ტოლერანტი, სამართლიანი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარითა და სისტემური აკადემიური ცოდნით აღჭურვილი წიგნიერი, პროგრესულ სიახლეთა მიმღები მოქალაქე. სკოლის ხედვაა ეფექტური, უსაფრთხო და პოზიტიურ სასწავლო გარემო; მოსწავლის ფიზიკური, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობა; ზრუნვა პედაგოგების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე; მუდმივად გავითარება და სრულყოფა სასწავლო რესურსების; ხელშეწყობა მშობლის აქტიური ჩართულობის შვილის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში; მუდმივი ზრუნვა მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებაზე; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფაზე, განვითარებასა და აღჭურვაზე; ხელშეწყობა სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრებასა და

უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო და სასწავლო გარემოს შექმნაზე. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მისიასა და ხედვაში ჩანს, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს საკუთარი ადგილი და როლი. ის ზრუნავს მოსწავლეებს მისცეს თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნა და უნარები, ჩაუნერგოს ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს მიმართ სიყვარული, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, შეუქმნას სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტის განათლების მისაღებად, დაეხმაროს მას მომავალი განვითარების გზის არჩევაში, რომ შემდგომ სწავლა-სწავლების პროცესში შეძენილი ცოდნის ტრანსფერი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მ/შ ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელშიც არიან სასკოლო საზოგადოების წევრები: დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრი, მასწავლებლები სხვადასხვა კათედრიდან, დაწყებითი და საბაზო საფეხური მშობლები, თემის აქტიური წარმომადგენელი, რესურსცენტრის წარმომადგენელი. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, დაგეგმვა იწყება მისიისა და ხედვის შემუშავება-შეფასებით, გადახედვით. როგორც ინტერვიუთი ირკვევა, ჯგუფმა ერთობლივად ჯგუფურად იმსჯელა სკოლის მისიასა და ხედვაზე და ისე ჩამოაყალიბა. ამდენად, სკოლის მისია და ხედვა შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ინტერვიუებით დგინდება, რომ შემუშავებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები დამრიგებლებმა გააცნეს მოსწავლეებს, მშობლებს და მიიღეს მათგან უკუკავშირი, რომ იზიარებენ სკოლის მისიასა და ხედვას. ამდენად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია გამოკრულია შენობის შესასვლელ დერეფანში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება: სსიპ-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მუჟავას თემის საჯარო სკოლა შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 30 ნოემბრის №2-95 ბრძანება მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცებისა და 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმისა და სკოლის ფილოსოფიის შემუშავება-შეფასებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ.
- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანებით დამტკიცებულ მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, კერძოდ, სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრისგან, რომლებიც იმუშავენ სტრატეგიულ გეგმაზე. გაითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებებს, ინტერესებს, გამოიყენებენ SWOT მეთოდოლოგიას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა არის შვიდწლიანი (2023-2030 წ.წ.). იგი შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან (2023 წლის 8 სექტემბერს ოქმი №1). სტრატეგიული გეგმა მოიცავს 4 სტრატეგიულ მიმართულებას: 1. სკოლის მომსახურებების გაუმჯობესება; 2. STEM საგნების გაძლიერებული სწავლების მქონე სკოლის სტატუსის მიღება და ავტორიზაცია/აკრედიტაციის გავლა; 3. სკოლაში განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა; 4. სკოლის ორგანიზაციული განვითარება. მიმართულებები ჩაშლილია ამოცანებად და ქვეამოცანებად. სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი მიზნები მიემართება სკოლაში მიმდინარე ძირითადი, სასწავლო პროცესის ინსტიტუციურ და ინფრასტრუქტურული განვითარების მხარდაჭერას, რაც თავსებადია სკოლის მისიასა და ხედვასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა** სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც არ იყო შემუშავებული სტრატეგიული გეგმის საფუძველზე; არგუმენტირებულ პოზიციაში შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლას სტრატეგიული გეგმის საფუძველზე 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება განსაზღვრული აქვს 2024 წლის 20 დეკემბრამდე. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში შეიმუშაოს 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა სტრატეგიული გეგმის საფუძველზე. ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

4. **ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილი** 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული იყო სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, თუმცა, არ იყო შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. არგუმენტირებულ პოზიციაში შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა გეგმავს 2024 წლის 20 დეკემბრამდე 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა

ინდიკატორი №1.2.1.4. ჩათვალა, რომ მეტწილად არის დაკმაყოფილებული და გასცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლამ 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 8 სექტემბრის ოქმი №1 სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი (2023-2030 წ.წ.). გეგმის შეთახმების შესახებ
- სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 30 ნოემბრის №2-95 ბრძანება მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- შესაბამისობის გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის დოკუმენტი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ,

სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას სკოლა ახორციელებს წელიწადში ერთხელ გეგმიურად, შესაძლებელია არაგეგმიური მონიტორინგიც. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

3. არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

4. არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 30 ნოემბრის №2-95 ბრძანება მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელმძღვანელობს საჯარო სკოლის წესდებით. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს: სამეურვეო საბჭოს, დირექციას, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინური კომიტეტს, მრჩეველთა საბჭოს და შემდეგ თანამდებობრივ პოზიციებს: დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, საგნობრივი მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები, დარაჯი, დამლაგებლები. მათ პოზიციების შესაბამისი საქმიანობის აღწერილობები მოცემულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების აღმწერ დოკუმენტსა და შრომით ხელშეკრულებებში.

რჩევა: სკოლამ შეიმუშაოს ცალკე დოკუმენტი დებულების სახით, რომელშიც ერთიანი სახით გაწერს დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა მცირერიცხოვანია, რაც კიდევ მეტად უწყობს ხელს სკოლაში დასაქმებულ პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილებას და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საშტატო განრიგი
- საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების აღმწერი დოკუმენტი
- შრომითი ხელშეკრულებები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას (საქართველოს ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“, საქართველოს კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“, სკოლის პერსონალის შერჩევასთან, საქმიანობის შეფასებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან დადგენილ რეგულაციებს, „ეროვნული სასწავლო გეგმას“) და სკოლის მარეგულირებელ აქტებს: შინაგანწესს, ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტსა და მასწავლებელთან დადებულ ხელშეკრულებას. სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა და სხვა. შინაგანაწესს იცნობს სკოლის პერსონალი, რაც დასტურდება მათი ხელმოწერებით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია უპირველესად სკოლის კადრებით უზრუნველყოფა, მასწავლებელთა შერჩევა, ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, შესრულებული სამუშაოს შეფასება და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. სკოლა აწარმოებს სამუშაო დროის აღწერის ფორმას „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების (№01-15/6) შესაბამისად. პერსონალის ხელშეკრულებებში დაზუსტებულია მათი პასუხისმგებლობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის დირექტორის მ/შ გასაუბრებით და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებისა და შინაგანაწესის თანახმად, სკოლა მასწავლებლის ერთ-ერთ ვალდებულებად განსაზღვრავს,

სკოლის დირექციის მოთხოვნის საფუძველზე, სხვა მასწავლებლის მიერ გაცდენილი გაკვეთილის შესაბამისი გაკვეთილის ჩატარებას. მასწავლებელი ასევე ვალდებულია დროულად აცნობოს სკოლას მის მიერ გაკვეთილის გაცდების ფაქტი, რათა სკოლას დროულად მიეცეს საშუალება განახორციელოს პრვენციული და ინტერვენციული ღონისძიებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-11-16 მუხლებში განსაზღვრულია მასწავლებლის შერჩევის წესი, კონკურსის გამოცხადება. აღნიშნული რეგულაცია შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებას. სკოლაში კონკურსი რამდენიმე წელია არ ჩატარებულა, ამდენად, კონკურსის ჩატარების ამსახველი დოკუმენტაცია ექსპერტებმა ვერ შეაფასეს.

3. ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და დადგინდა, რომ თანამშრომლებს წარმოდგენილი არ ჰქონდათ ცნობები „უფლების ჩამორთმევისა“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში აღნიშნული ხარვეზის შესრულება დასახა 2024 წლის 5 დეკემბრამდე. ამდენად, **ინდიკატორი №3.1.2.3. მეტწილად არის დაკმაყოფილებული და გაიცა რეკომენდაცია, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში ინდენტიფირებულ თანამშრომლებს მოსთხოვოს „უფლების ჩამორთმევისა“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“ ცნობების წარმოდგენა.**

4. ვიზიტის დროს სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ პროცესებში ჩართული იყო 22 მასწავლებელი (16-უფროსი, 3 -მოწვეული, 2 - უსტატუსო მასწავლებელი, რომლებიც 2024 წელს გავიდნენ გამოცდებზე), 2-სპეციალური მასწავლებელი, მათგან ერთს შეთავსებული აქვს ბიბლიოთეკარის პოზიცია, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, 1 - საქმისმწარმოებელი, 1 - ბუღალტერი, 1-ექთანი, 2-დამლაგებელი, 1 ცეცხლფარეში, 1 დარაჯი. შემუშავებულია ჩამოთვლილი პოზიციების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალის პირადი საქმეების შერჩევით გადამოწმებით დადასტურდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის მიერ შემუშავებული მისიის ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობს სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჯგუფი, ბიუჯეტისა და შინაგანაწესის დამტკიცებაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის სამეურვეო საბჭო, სასწავლო პროცესს მიკუთვნებულ საკითხებს განიხილავენ კათედრები და/ან პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლის შინაგანაწესის მეათე მუხლის თანახმად, სკოლაში პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი

მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- მისიის ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით
- თანამშრომელთა პირადი საქმეები
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია სკოლის პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმი. დოკუმენტის მე-20 მუხლში საუბარია პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებაზე, როცა სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით, რაც აისახება სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა წინა წელს მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე მასწავლებელთა დასწრების ამსახველი დოკუმენტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

3. მიმდინარე სასწავლო წელს რამდენიმე მასწავლებელს უწევდა მასწავლებლის კომპეტენციის დადასტურების გამოცდის ჩაბარება. აღნიშნულ მასწავლებლებთან მუშაობდნენ შესაბამისი კათედრები. გარდა ამისა, სკოლის მ/შ 2024 წლის 15 იანვრის ბრძანებით შექმნილია ბუნებისმეტყველების მაძიებელი მასწავლებლის შეფასების ჯგუფი და ასევე დირექტორის მ/შ ბრძანება აღნიშნული პედაგოგის პრაქტიკული კურსის დადებითად შეფასების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-19 მუხლში ემდგნება ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას. აღნიშნულია, რომ სკოლა ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით სკოლა ახორციელებს შემდეგს: ა) კათედრის შეხვედრებზე დასწრება და საგნობრივი თავისებურებების სიღრმეებში გარკვევა; ბ) კოლეგების გაკვეთილზე დასწრება პროფესიული დახელოვნების მიზნით; გ) სკოლის აქტივობებში აქტიური ჩართვა; დ) ექსკურსია; ე) თანამშრომლების გაცნობა; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა ხელს რომ უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს, დადასტურდა პერსონალთან გასაუბრების დროს, კერძოდ, კათედრის დონეზე ხდება მასწავლებელთა ურთიერთმხარდაჭერა. მასწავლებლებს ასევე დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და ვებინარებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლის მ/შ 2024 წლის 15 იანვრის ბრძანება ბუნებისმეტყველების მაძიებელი მასწავლებლის შეფასების ჯგუფის შესახებ
- სკოლის მ/შ 2024 წლის 15 იანვრის ბრძანება ბუნებისმეტყველების მაძიებელი მასწავლებლის დადებითად შეფასების შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც აღწერილი იქნებოდა სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესების რაიმე ციკლი, რომელიც ხარისხის განვითარებას უზრუნველყოფდა. თუმცა სკოლაში დაგეგმილია ცალკეული პროცესები. მაგალითად, დაგეგმილია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და გათვალისწინებულია მათი შესრულების მონიტორინგი და მომავალ დაგეგმვაში მონიტორინგის შედეგების გათვალისწინება. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვა, განხორციელება მონიტორინგი და შეფასება და გადასინჯვა და რევიზია.

სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოქმედებს დირექტორის მ/შ 2024 წლის 22 მაისის №2-11 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი და მისი დებულება. სკოლამ წარმოადგინა ჯგუფის მუშაობის მასალები. მასწავლებლების შეფასებისა და საჭიროებათა განსაზღვრის დამადასტურებელი მასალები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: მნიშვნელოვანია, სკოლამ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ხარისხის უზრუნველყოფის სხვა მექანიზმებიც.

2. სკოლის დირექტორის მ/შ 2024 წლის 5 აგვისტოს №2-30 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების აღმწერი დოკუმენტი. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს შემდეგ პროცესებს:

1.მმართველობითი: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; 2.ძირითადი პროცესები: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. 3. დამხმარე პროცესები: EMIS.GE სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება, კარიერული განვითარება, სატრანსპორტო მომსახურება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში დირექტორის მ/შ 2024 წლის 5 აგვისტოს №2-31 ბრძანებით დამტკიცებულია განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი, რომელშიც გაწერილია თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ განცხადებისა და საჩივრის წარდგენის ფორმა, მისი ვადები, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის პერსონალის, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია სკოლის შიდა რეგულაციები, მოსწავლის/მშობლის ვალდებულებები და სკოლაში ქცევის სტანდარტები, სასწავლო გარემო და ზოგადი ეთიკური ნორმები, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, დისციპლინური წარმოება და სახეები. თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. შინაგანაწესი და ასევე განცხადებისა

და საჩივრის განხილვის წესი, რომელშიც დეტალურადაა წარმოდგენილი განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი სკოლას გასაჯაროებული აქვს, გამოკრულია პირველი სართულზე დერეფანში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის მ/შ 2024 წლის 5 აგვისტოს №2-31 ბრძანებით დამტკიცებული განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი
- სკოლის შინაგანაწესი
- დირექტორის მ/შ 2024 წლის 22 მაისის №2-11 ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი და მისი დებულება.
- სკოლის დირექტორის მ/შ 2024 წლის 5 აგვისტოს №2-30 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების აღმწერი დოკუმენტი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლისათვის გარე კომუნიკაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს სკოლის ელექტრონული ფოსტა და სოციალური ქსელი. აღნიშნული საშუალებები უზრუნველყოფს ინფორმაციის დროული გავრცელებისა და უკუკავშირის პროცესების ეფექტიანობას. სკოლის ელფოსტითა და ფეისბუქზე საკუთარი გვერდით და სოციალური დახურული ჯგუფებით მასწავლებლები, დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას საზოგადოებას, მშობლებს, მასწავლეებს. სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლაში კოლეგიური ორგანოებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო (ჩართულია ყველა პედაგოგი), მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სტრატეგიული

დაგეგმვის ჯგუფი (დაკომპლექტებული სასკოლო საზოგადოებით), რითაც უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობა, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის დებულება
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი
- სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, რისთვისაც სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია მათემატიკის მასწავლებელი. სკოლის შენობა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. სკოლას დამონტაჟებული აქვს თითო სართულზე 3-3 ვიდეოკამერა (სულ 6 კამერა) და შენობის გარეთ 4 კამერა. ვიდეოსათვალთვალო სისტემაში ასახული ინფორმაციის შემკრები მონიტორი განთავსებულია კომპიუტერის ოთახში. გარდა ამისა, სკოლაში შემუშავებულია მასწავლებელთა მორიგეობის სია, რომლებიც აკონტროლებენ შესვენებების დროს სართულებს. სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

რჩევა: ვიდეოსათვალთვალო სისტემაში ასახული ინფორმაციის შემკრები მონიტორი უნდა იყოს იზოლირებულ, უცხო თვალთვალს დაცულ სივრცეში.

ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ განსაზღვრა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებს 2025 წლის 20 სექტემბრამდე. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის შესახებ. სკოლამ წარმოადგინა 2022 წლის 13 ოქტომბერს წალენჯიხის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსთან მიწერილი წერილი, რომელშიც აღნიშნავს, რომ 2022 წლის 10 ივნისს სკოლის შენობას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა დაუდგინა რიგი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევები. აღნიშნული სამუშაოების შესრულება დიდი ფინანსურ რესურსს მოითხოვს, რაც სკოლას არ გააჩნია, ამდენად, ითხოვს შუამდგომლობას ფინანსების მოძიებასთან დაკავშირებით. სკოლას ასევე არ ჰქონდა დასკვნა შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით. მას წარმოადგინა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორისთვის 2024 წლის 15 მაისს მიწერილი წერილი, რომელშიც ითხოვს შენობის ტექნიკური

მდგომარეობის შესწავლას და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების განსაზღვრას. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც მიხედვითაც ის გეგმავს, რომ 2026 წლის 15 მაისამდე მიმართავს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს და ასევე მოიპოვებს უფლებამოსილი ორგანოსგან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას. ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ ინდიკატორი №3.4.1.1. ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული და გასცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლამ უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე მიმართოს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობა-ნაგებობის შესაბამისობის შესახებ დასკვნის მისაღებად და უფლებამოსილ ორგანოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მისაღებად.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას; ამ მიზნით სკოლას ჰყავს ექთანი, აქვს ექთნის ოთახი. სკოლას სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა სამედიცინო კაბინეტში განსათავსებელი აღჭურვილობა, რომელიც შეესაბამება მინისტრების ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნებს. ვიზიტის დროის გასასინჯი სივრცე/ტახტი დანარჩენი სივრცისგან გამოყოფილი არ იყო ხელოვნური ბარიერით/ტიხრით. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნა, რომ 2024 წლის 20 დეკემბრამდე სამედიცინო კაბინეტში გასასინჯ სივრცეს გამოიწნავს შირმის საშუალებით. ამდენად, ინდიკატორი №3.4.1.2 მეტწილად არის დაკმაყოფილებული და გაიცა რეკომენდაცია, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სამედიცინო კაბინეტში გასასინჯი სივრცე/ტახტი გამოყოს დანარჩენი სივრცისგან ხელოვნური ბარიერით/ტიხრით/შირმით.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; სკოლას განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი-ერთ-ერთი მასწავლებელი. გარდა ამისა, ამ მიზნით სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 სექტემბრის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც ფუნქციები გაწერილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების მე-11 მუხლში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში დამრიგებლები უწყვეტად მუშაობენ მოსწავლეების სწორი ქცევითი ჩვევების განვითარებაზე, მოზარდების ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ჩამოყალიბებაზე. სკოლა გამოირჩევა ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოთი, რაც გამოვლინდა გამოკითხვის შედეგად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას ემსახურება 2 დამლაგებელი, რომლებიც ასუფთავებენ სკოლის შიდა პერიმეტრს, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის შესაბამისად. სკოლაში არსებობს ცალ-ცალკე სანიტარული კვანძები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით, კონკრეტულად: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი (უკონტაქტო). ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საქმისმწარმოებელი, მასწავლებლები, დამრიგებლები, რომლებსაც წვდომა აქვთ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებთან, იცავენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესებს. სკოლის სოციალურ გვერდზე ნებისმიერი ინფორმაციის განთავსება ხდება მშობლის თანხმობის საფუძველზე.

სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქცია შეთავსებული აქვს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს (დირექტორის მ/შ 2024 წლის 5 აგვისტოს №2-33 ბრძანება). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემები, ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ, მოსწავლის სპეციალური საჭიროების შესახებ სრულად არის დაცული. წინა წლის მატერიალური მასალები ინახება არქივში და მათთან წვდომა აქვს მხოლოდ საქმისმწარმოებელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ექთანთან დადებული ხელშეკრულება
- დირექტორის მ/შ 2024 წლის 5 აგვისტოს №2-33 ბრძანება სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციის შეთავსების შესახებ
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 სექტემბრის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ
- დირექტორის მ/შ წერილები წალენჯიხის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს უფროსთან
- შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, საჯარო სკოლა მდებარეობს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუჟავაში (საკადასტრო კოდი 47.05.31.005, 12/01/2016). შენობის მესაკუთრეა სახელმწიფო, ხოლო სკოლა - მოსარგებლე. სკოლის შენობა მდებარეობს 6264 კვ.მ. მიწის ფართობზე, ხოლო სკოლის შენობის განაშენიანების ფართობი 832 კვ.მ. სკოლის შენობა ორსართულიანია. სკოლაში სულ არის 12 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიული ცდების ჩასატარებლად პატარა ოთახი 2 დიდი ფანჯრით და დერეფანში იქვე სველი წერტილით, კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, რესურსოთახი, სამასწავლებლო, დირექტორის ოთახი. სველი წერტილები პირველ სართულზეა გოგონებისა და ვაჟებისათვის, 2 შშმ პირებისათვის. 2023 წლის 22 ნოემბრის ინვენტარიზაციის აქტის მიხედვით, სკოლა ფლობს 165 მერხს სკამით, დაფებსა და კარადებს. სკოლას პირველ სართულზე გამოყოფილი აქვს ოთახი, სადაც ატარებს მარტივ საბუნებისმეტყველო ცდებს, არსებობს ლაბორატორიის ინვენტარის მცირე ჩამონათვალი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სკოლამ განაახლოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერი

2. მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (2 დიდი დერეფანი, ეზო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, 2 სპორტული მოედანი) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. სკოლის ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით, სპორტული დარბაზით სარგებლობის საშუალება აქვს სასკოლო საზოგადოების წევრებს.

სკოლის დირექტორის მ/შ 2024 წლის 5 აგვისტოს 2-32 ბრძანებით დამტკიცებულია მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: თაროებით, მაგიდით, სკამებით, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება. სკოლის ბიბლიოთეკაში 5727 წიგნია, განთავსებულია სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სახელმძღვანელოები 5449, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი შეთავსებით. ვიზიტის დროს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი არ იყო დამუშავებული საბიბლიოთეკო პრინციპით. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წიგნადი ფონდის საბიბლიოთეკო პრინციპით დამუშავება განსაზღვრა 2025 წლის 20 თებერვლამდე. ამდენად, **ინდიკატორი №3.5.1.3. მეტწილად არის დაკმაყოფილებული და გაიცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლამ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი დაამუშაოს საბიბლიოთეკო პრინციპით.**

4. ვიზიტის დროს სკოლის გარემო არ იყო ინკლუზიური. სკოლას ჰქონდა პანდუსი მხოლოდ შენობის პირველ სართულზე შესასვლელად, ხოლო მეორე სართულზე ასასვლელად ეტლით მოსარგებლე პირი ვერ შეძლებს სკოლის კომპიუტერულ ოთახსა და რესურს ოთახში მოხვედრას, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიული ცდების ჩასატარებლად პატარა ოთახი, სველი წერტილები პირველ სართულზეა განთავსებული. სკოლა შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 2026 წლის 20 სექტემბრამდე გეგმავს მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსის მოწყობას. ექსპერტთა შეფასებით, **ინდიკატორი №3.5.1.4. ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია და გაიცა რეკომენდაცია, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში შექმნას ინკლუზიური ინფრასტრუქტურა, კერძოდ, მეორე სართულზე ასასვლელად დაამონტაჟოს პანდუსები.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა (სპორტული დარბაზი, სკოლის ეზო, სპორტული მოედნები, ბიბლიოთეკა) ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, საინტერესო პროექტები, მოაწყონ შეხვედრები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან, მათთვის საინტერესო ადამიანებთან. სპორტული ინვენტარი: შვედური კედელი, ფრენგურთის ბადე, 2 კალათბურთის ფარი, სპორტული ლეიბი 4 ცალი, ჭადრაკი 5 ცალი, ჭადრაკის დაფა, კრივის ხელთათმანები 2 წყვილი, კრივის ტომარა, სავარჯიშო ლეიბი 3, ბაგირი 2 ცალი. ახალი წამლების შეძენა იგეგმება მომავალი წლიდან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის აქტი
- ბიბლიოთეკის დებულება
- შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს გამართული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. ინტერნეტი მოიცავს მთელ შენობას. კომპიუტერული ტექნიკა განთავსებულია დირექტორის ოთახსა და სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, რესურსოთახში, კომპიუტერები და ლეპტოპები განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სკოლას შეძენილი აქვს 26 ლეპტოპი, 6 კომპიუტერი, 2 პრეპტორი, 1 ეკრანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა მოსწავლეებს შეუძლიათ სასკოლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00-18:00 სთ პერიოდში. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიებით სარგებლობის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის ინვენტარიზაციის აქტი
- დირექტორის მ/შ ბრძანება მატერიალური რესურსით სარგებლობის შესახებ

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს დირექტორის მ/შ 2024 წლის 5 აგვისტოს №2-34 ბრძანებით დამტკიცებული კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომლის საფუძველზეც სკოლაში მიმდინარეობს საქმისწარმოება, კერძოდ, შემოსული დოკუმენტაციის (წერილი, მოთხოვნა–დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; გასული დოკუმენტაციის (წერილი, ცნობა, მოთხოვნა–დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; შიდა დოკუმენტაციის (სამსახურეობრივი ბარათი, ახსნა–განმარტება, ბრძანება, ბრძანების ამონაწერი, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, ხელშეკრულებები, მემორანდუმები) აღრიცხვა; მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეების წარმოება. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები დანომრილია, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძულია, მათი სანდოობა და მთლიანობა არის უზრუნველყოფილი. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (Eflow) სისტემით; ასევე სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, კერძოდ: eSchool.emis.ge, office 365; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან წალენჯიხის საგანმანათლებლო რესურსცენტრის გავლით და მისი დახმარებით ამყარებს კომუნიკაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მის დაქვემდებარებაში მყოფ სიპებთან შესაბამისი ნებართვების მოპოვების თუ გარკვეული საკითხების შესათანხმებლად. სკოლა ყოველწლიურად წარუდგენს ინფორმაციას საგანმანათლებლო რესურსცენტრს მიღებული ვაუჩერული დაფინანსების დახარჯვასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- ემისზე განთავსებული ინფორმაცია
- დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; (**შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე**)
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს თავისი ოფიციალური გვერდი პორტალზე: Skolebi.emis.ge-ზე. ასევე სოციალურ ქსელში გვერდი და სხვა საკომუნიკაციო საშუალებები, რომლის საშუალებითაც სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა აზიარებს თავისი საქმიანობის, მათ შორის მის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით, თუმცა არა ოფიციალური ვებგვერდით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

4. მართალია, სკოლას აქვს Skolebi.emis.ge-ზე შესაბამისი გვერდი, თუმცა მასზე ინფორმაცია განთავსებული არ იყო. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა 2024 წლის 25 დეკემბრამდე გეგმავს ვებგვერდის გააქტიურებას. ამდენად, **ინდიკატორი №3.6.3.4 მეტწილად დაკმაყოფილებულია და გაიცა რეკომენდაცია, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში Skolebi.emis.ge-ის შესაბამისი გვერდი გააქტიუროს და განათავსოს მასზე ინფორმაცია.**

5. ვიზიტის დროს სკოლის ვებგვერდი არ შეიცავდა შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ, კერძოდ, მასზე არ იყო განთავსებული სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 2024 წლის 25 დეკემბრამდე სკოლა გეგმავს სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსებას. ექსპერტთა შეფასებით, **ინდიკატორი №3.6.3.5 მეტწილად დაკმაყოფილებულია და გაიცა რეკომენდაცია, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში ვებგვერდზე განათავსოს სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაცია, კერძოდ: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა ჯერ ბიუჯეტი დამტკიცებული. ასევე ჯერ არ ჰქონდა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. ამდენად, ინდიკატორი შეფასდა როგორც - არ შეესაბამება. არგუმენტირებულ პოზიციაში, შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლა გეგმავს 2024 წლის 20 დეკემბრამდე ბიუჯეტის დამტკიცებას და სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ამდენად, ინდიკატორი №3.7.1.1 მეტწილად არის დაკმაყოფილებული და გაიცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლის სამეურვეო საბჭომ დაამტკიცოს ბიუჯეტი და მის საფუძველზე, 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

2. სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ, საჭიროების შემთხვევაში ხდება მასში ცვლილებების შეტანა. სკოლა ყოველი ფინანსური წლის დაწყებამდე ამტკიცებს შესყიდვების გეგმას, რომლის დამტკიცებისას გათვალისწინებულია წინა წლის გამოცდილება (მონიტორინგისა და შეფასების გზით), ფინანსების განკარგვა ხდება დამტკიცებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ხდება ცვლილებების შეტანა შესყიდვების გეგმაში. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის წარდგება სამეურვეო საბჭოს წინაშე ანგარიშით, მათ შორის ფინანსური ანგარიშითაც. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება, სასკოლო სასწავლო გეგმა, ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე გასაჩივრების წესი, რომლითაც დაკონკრეტებულია, თუ ვის, რა ფორმით და რა ვადაში უნდა მიმართოს მოსწავლემ, თუ

კი ჩათვლის, რომ დაირღვა მისი კანონით გათვალისწინებული უფლებები. მოსწავლეებისათვის მათი უფლებების (შინაგანაწესი) გაცნობა არის დამრიგებლის მოვალეობა. სსსმ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა დამატებით რეგულირდება „სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციებით“. სკოლას ჰყავს სპეციალური 2 მასწავლებელი და 1 ასისტენტი, რომლებიც კლასის დამრიგებლებთან და მთლიანად სასკოლო საზოგადოებასთან ერთად ზრუნავენ მოსწავლეების კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვაზე.

სკოლის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების და გარანტიების დაცვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კანონით გათვალისწინებული მოსწავლეთა უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობაზე მეტყველებს სკოლის დერეფანში გამოკრული შინაგანაწესი, ასევე, სკოლის ყველა რეგულაციის გამჭვირვალობა და სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის ხელმისაწვდომობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან. ხელშეკრულების პირობები შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი.

